გლობალიზაციის ეკონომიკური და პოლიტიკური განზომილებები

ლაშა ვაშაკიძე
სტუ-ს დოქტორანტი

გლობალიზაციის მრავალ განზომილებას შორის უმთავრესია ეკონომიკური და პოლიტიკური განზომილება. ეკონომიკური გლობალიზაცია, მოკლედ შეიძლება განიმარტოს როგორც "ღია ეკონომიკისა და ეკონომიკის ორგანიზაციის საბაზრო ფორმის საფუძველზე ერთიანი გლობალური ეკონომიკური სისტემის ფორმირების პროცესი". ეკონომიკის გლობალიზაციის ყოვლისმომცველი და ამავე დროს უალტერნატივო ხასიათი უდავოა.

ეკონომიკური გლობალიზაციის საწყისი ეტაპია 1948 წელი, როდესაც აშშ-ის და დასავლეთ ევროპის ქვეყნების თაოსნობით დაიდო გენერალური შეთანხმება ვაჭრობისა და ტარიფების შესახებ (GATT), ხოლო 1995 წლიდან დაფუძნდა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია (ვმო). ამავე პერიოდში აშშ-მა დაიწყო ე. წ. "მარშალის გეგმის" განხორციელება, რომლის მეშვეობით მან სტრატეგიულ მოკავშირედ აქცია დასავლეთ ევროპის ქვეყნები. ანალოგიური პოლიტიკა განხორციელდა იაპონიაში, სადაც ეკონომიკური რეფორმები აშშ-ის პროგრამით მიმდინარეობდა. ამავე დროს, "რადგან აშშ-ის ეკონომიკური სიძლიერის საფუძვლად მეცნიერები სავსებით სამართლიანად ე. წ. "რეიგანომიკის" პოლიტიკას მიიჩნევენ, შესაბამისად უპრიანი იქნება აშშ-ის თანამედროვე გეოსაფინანსო პოლიტიკის ევოლუციის განხილვის დაწყება 1981 წლიდან" [1, გვ. 158]. ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესი, აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში განხორციელებული ნეოკონსერვატიული რეფორმების შედეგად, XX საუკუნის 80-იან წლებში განვითარების ახალ საფეხურზე ავიდა.

გლობალიზაცია, მართალია, წარმოადგენს განვითარებულ ქვეყნებში ფორმირებული პოსტინდუსტრიული ეკონომიკის განვითარების იმანენტურ პროცესს, მაგრამ გარკვეულ ფაქტორთა ერთობლივი ზემოქმედების შედეგად გლობალიზაცია XX საუკუნის 90-იან წლებში მსოფლიო ეკონომიკის შემდგომი განვითარების განმსაზღვრელ მოვლენად ჩამოყალიბდა. XX საუკუნის 90-იან წლებიდან, მსოფლიო ეკონომიკის არსებითი თავისებურება გახდა გეოეკონომიკის უპირატესი მნიშვნელობა გეოპოლიტიკასა და გეოსტრატეგიასთან შედარებით.

ეკონომიკა განსაზღვრავს პოლიტიკურ ურთიერთობებს, ქვეყნის როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკურ კურსს. ეს დიდ უპირატესობას ანიჭებს მაღალგანვითარებული ეკონომიკის ქვეყნებს, რომლებსაც განვითარებად ქვეყნებზე ზემოქმედების ისეთი იარაღი გააჩნიათ, როგორიცაა მათთვის ფინანსური, ტექნიკური თუ სხვა სახის დახმარება.

ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება პოლიტიკური ურთიერთდამოკიდებულების ზრდის საფუძველია და პოლიტიკური ფაქტორი, რომელიც ცალკეული ქვეყნის შიდა და საგარეო-პოლიტიკური მიზნებითაა განპირობებული ზეგავლენას ახდენს ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების ზრდაზე. ამრიგად, გლობალიზაციის უმთავრესი მახასიათებელი ეკონომიკურ-პოლიტიკური ურთიერთდამოკიდებულების ზრდაა. ურთიერთდამოკიდებულების ხარისხი საკმაოდ მაღალია განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებს შორის და საკმაოდ დაბალია განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის. განვითარების დონის ზრდის შემდეგ განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის ურთიერთდამოკიდებულების ხარისხი იზრდება, რაც გლობალიზაციის დადებითი ეფექტების ამ ქვეყნებზე გავრცელების წინაპირობაა. გლობალიზაციის განვითარება ხელს უწყობს ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების ზრდას და პირიქით, რაც თავის მხრივ იწვევს გლობალიზაციის სოციალურ ასპექტებზე ყურადღების გამახვილების აუცილებლობას. ამდენად, თანამედროვე გლობალიზებული ეკონომიკა ურთიერთდამოკიდებული ეკონომიკების ერთობლიობაა. აღნიშნული ურთიერთდამოკიდებულება ცვლის მსოფლიო ეკონომიკის ფუნქციონირების ხასიათს და ის თანდათანობით ერთიან გლობალურ ეკონომიკურ სისტემად გვევლინება. ეს თავის მხრივ ნიშნავს არა ეროვნული ეკონომიკების განვითარების სტრატეგიების ერთგვაროვნებას, არამედ, როგორც ადრეც მივანიშნეთ, განვითარების საფუძვლების უნიფიკაციას და ცალკეული ეროვნული ეკონომიკების ფუნქციონირების პროცესში მსგავსი ნიშნების ზრდას.

ამრიგად, გლობალიზაცია ხასიათდება ეროვნულ ეკონომიკებს შორის ურთიერთდამოკიდებულებისა და ურთიერთშეღწევადობის ზრდის მაღალი ხარისხით, როცა ცალკეული ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა ზეგავლენას ახდენს სხვა ქვეყნების პოლიტიკაზე და ამავდროულად

ახდენს გავლენას სხვა სფეროებში მიმდინარე პროცესებსა და მოვლენებზე, წარმოების ფაქტორების გადაადგილებისათვის სახელმწიფო საზღვრის გამჭვირვალობით, მსოფლიო ეკონომიკაში ტრანსნაციონალური ბანკების (ტნბ), საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციების მზარდი როლით, სახელმწიფოთა გეოეკონომიკური მიზნების პრიმატით გეოპოლიტიკურ და გეოსტრატეგიულ მიზნებთან შედარებით.

ეკონომიკის გლობალიზაცია ეროვნულ ეკონომიკებს შორის ურთიერთობებს აქცევს მათი და შესაბამისად, გლობალური ეკონომიკის განვითარების უმთავრეს ფაქტორად. გლობალიზაციის პირობებში ადგილი აქვს ეკონომიკური საქმიანობის გარკვეულ უნიფიკაციას, რაც გამოიხატება ტექნოლოგიებში, ეკოლოგიაში, საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობაში, სტატისტიკაში, განათლების სფეროში ყველა ქვეყნისათვის ერთიანი სტანდარტების შემუშავება-გამოყენებაში, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით ადგილი აქვს ეკონომიკური პოლიტიკის ერთიანი კრიტერიუმების დანერგვის პროცესს.

XX საუკუნის დასაწყისთან ანუ ტრანსნაციონალური კომპანიების წარმოქმნის პერიოდთან შედარებით არსებითად შეიცვალა ტრანსნაციონალური კომპანიების საქმიანობის შინაარსი და მიმართულებები. თანამედროვე პერიოდში უმთავრესი ყურადღება ექცევა წარმოებას, ხდება გადასვლა ფუნქციონირების გლობალურ სტრატეგიაზე. თანამედროვე გლობალიზებულ ეკონომიკაში ტნკ-ები არ იზღუდებიან ეროვნული საზღვრებით, მოქმედებენ გლობალური მასშტაბით და მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის ძირითად მამოძრავებელ ძალად გვევლინებიან.

გლობალიზაციის პროცესის განვითარება მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საერთაშორისო წარმოების განვითარებას მსოფლიო რესურსების უფრო ეფექტიანად გამოყენების მიზნით. ამ კუთხით მნიშვნელოვანია რამდენიმე ასპექტი, მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, "აღსანიშნავია მსოფლიოს ყველა ქვეყნის სწრაფვა ექსპორტის ხელშეწყობა-განვითარებისკენ, რაც თანაბრად ეხება როგორც განვითარებულ, ისე განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს" [2, გვ. 324]. ამდენად, თანამედროვე ეტაპზე არა მარტო ტნკ-ები, არამედ მასშტაბით გაცილებით მცირე კომპანიები წარმოებას ანვითარებენ და საქმიანობას მიმართავენ არა შიდა, არამედ საგარეო ბაზრისკენ. საბოლოო ჯამში, კომპანიების მსგავსი ორიენტაცია ხელს უწყობს მსოფლიო ეკონომიკის განვითარებას, რაც თავის მხრივ გულისხმობს საერთაშორისო ბაზარზე კონკურენციის ზრდას, რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ზრდას და ზოგადად, მსოფლიო ეკონომიკის ზრდის ტემპების ამაღლებას. ამდენად, მნიშვნელოვანია ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების ხელისშემშლელი ბარიერების შემცირების ან გაუქმების შედეგად კონკურენციის ზრდა საერთაშორისო არენაზე, ასევე კონკურენციის ზრდის შედეგად ქვეყნები სპეციალიზდებიან სწორედ იმ საქონლის წარმოებაში, რომლის წარმოებაშიც ისინი ფლობენ კონკურენტულ უპირატესობას, არა მხოლოდ სავაჭრო პარტნიორებთან მიმართებაში, არამედ ზოგადად, გლობალურ დონეზე. ამდენად, ეკონომიკური გლობალიზაცია ასევე ხელს უწყობს ქვეყნების ოპტიმალურ სპეციალიზაციას.

ეკონომიკის გლობალიზაციის დღეისათვის გაბატონებულ მოდელს საფუძვლად უდევს "ვაშინგტონის კონსესუსის" დოქტრინა და "საბაზრო ფუნდამენტა-ლიზმის" მეთოდოლოგია. ვაშინგტონის კონსესუსი არის შეთანხმება საერთაშორისო სავალუტო ფონდს, მსოფლიო ბანკსა და აშშ-ს ადმინისტრაციას, კერძოდ, ფინანსთა სამინისტროს შორის, რომელიც ადგენს "სწორი" თამაშის წესებს ეკონომიკური საქმიანობის სფეროში განვითარებადი და პოსტკომუნისტური ქვეყნებისათვის. საბაზრო ფუნდამენტალიზმი კი განსაზღვრავს ამგვარი ქცევის ძირითად პრინციპებს, კერძოდ, ესენია: ეკონომიკის საყოველთაო ლიბერალიზაცია და დელეგირება; კაპიტალის, საქონლის, მომსახურებისა და სამუშაო ძალის თავისუფალი გადაადგილება ქვეყნიდან ქვეყანაში, კონტინენტიდან კონტინენტზე; ეროვნულ-სახელმწიფოებრივი საზღვრების გამჭირვალეობა. ამ მოდელის ინტენსიურ განხორციელებას საფუძველი ჩაეყარა გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან. იგი განაპირობა რიგმა ობიექტურმა და სუბიექტურმა გარემოებებმა, რომელთაგან ორი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო: მსოფლიო ეკონომიკაში მომხადარი ძირეული სტრუქტურული ცვლილება და მოთხოვნის სახელმწიფო სტიმულირებაზე დამყარებული ნეოკეინზური დოქტრინის კრიზისი. 70-იანი წლების დასაწყისში მომხდარმა ირან-ერაყის გაჭიანურებულმა სამხედრო კონფლიქტმა, რომელიც 1980 წელს ამ ორ სახელმწიფოს შორის სისხლისმღვრელი ომში გადაიზარდა, დიდი ხნით ჩაკეტა სპარსეთი ყურე, საიდანაც დასავლეთის ქვეყნები ნავთობით მარაგდებოდნენ. "ნავთობის შიმშილმა" ენერგეტიკული კრიზისი წარმოშვა, რასაც მწვავე ეკონომიკური კრიზისი მოყვა. შექმნილმა სიტუაციამ დღის წესრიგში დააყენა ახალ, პროგრესულ, რესურსდამზოგავ ტექნოლოგიებზე მასობრივად გადასვლისა და ეკონომიკის საყოველთაო "რაციონალიზაცია-ოპტიმიზაციის" ამოცანები. მეორე მხრივ, მეტისმეტად გაზრდილმა სახელმწიფო ხარჯებმა, რაც იმ პერიოდში

თითქმის ყველა ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნისათვის იყო დამახასიათებელი და მოთხოვნაზე ორიენტირებული, რაც კეინზური მოდელის პრაქტიკული განხორციელების შედეგს წარმოადგენდა, სახელმწიფო ბიუჯეტის უზარმაზარი დეფიციტი წარმოშვა და საგრძნობლად გააძლიერა ინფლაციური პროცესები. აღნიშნული ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე, 70-იანი წლების შუახანებიდან 80-იანი წლების დასაწყისადმე პერიოდში დასავლეთში "აგორდა" ძლიერი ნეოკონსერვატიული ტალღა, რომელმაც წამყვანი კაპი ტალისტური ქვეყნების ხელისუფლებაში მოიყვანა თავისუფალი ბაზრის თავგამოდებული მომხრეები – მარგარეტ ტეტჩერი დიდ ბრიტანეთში და რონალდ რეიგანი აშშ-ში. მათ საქმიანობას ყოველმხრივ დაუჭირა მხარი საერთაშორისო სავალუტო ფონდმა და მსოფლიო ბანკმა.

ეკონომიკის გლობალიზაციის ნეოლიბერალური მოდელის დანერგვის უმნიშვნელოვანესი ეტაპი იყო გასული საუკუნის 90-იანი წლები, როდესაც დაიშალა მსოფლიო სოციალისტური სისტემა და დაიწყო პოსტკომუნისტური საბაზრო ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესი. ყოველივე ამან შესაძლებელი გახადა პიროვნული და სამეწარმეო თავისუფლების სფეროების გაფართოება, ეკონომიკის ფუნქციონრიებაში სახელმწიფოს ჩარევის მაქსიმალური შეზღუდვა, საყოველთაო და სწრაფი პრივატიზება, მკაცრი ფისკალური და ფულად საკრედიტო პოლიტიკის განხორციელება. პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის შედეგად კაპიტალისტურმა საბაზრო ეკონომიკამ პრაქტიკულად საყოველთაო ხასიათი შეიძინა მთელ მსოფლიოში. უმეტესი ქვეყნების ეროვნული ეკონომიკები ექსპორტზე ძლიერ დამოკიდებულნი აღმოჩნდნენ. გაძლიერდა კონკურენცია, ერთი მხრივ, გლობალურ ტრანსნაციონალურ კომპანიებს შორის, ხოლო მეორე მხრივ, ტრანსნაციონალურ კომპანიებსა და ეროვნულ სახელმწიფოებს შორის. XX-XXI საუკუნეთა მიჯნაზე არსებითად შეიცვალა ეკონომიკის გლობალიზაციის განხორციელების ხასიათი. თუ ადრე იგი ძირითადად სტიქიურად მიმდინარეობდა, ამჟამად, ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი ტენდენცია: ეროვნულ-სახელმწიფოებრივ დონეზე ეკონომიკის დარეგულირება და ზესახელმწიფო დონეზე რეგულირების გაძლიერება, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ეკონომიკის გლობალიზაცია მართულ პროცესად გადაიქცა. ეს არის თანამედროვე გლობალიზაციის შინაგანი ბუნებიდან გამომდინარე კანონზომიერება. სხვადასხვა ქვეყნების მეურნეობრივი ცხოვრების სინქრონიზაცია, რაც გლობალიზაციის დამახასიათებელი ნიშანია, განაპირობებს კრიზისული მოვლენების სინქრონიზაციას და ინტერნაციონალიზაციას. ერთ ქვეყანაში დაწყებული კრიზისი სწრაფად და ადვილად ვრცელდება სხვა ქვეყნებში და საერთაშორისო მასშტაბებს იძენს. სწორედ ასე მოხდა გასული საუკუნის 90-იანი წლების შუა ხანებში სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. შესაბამისად, თუ წინათ ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლისათვის ეროვნული სახელმწიფოს ძალებიც იყო საკმარისი, ამჟამად ეს შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფოთა ერთიანი ძალისხმევითა და საერთაშორისო ფინანსურ-ეკონომიკური ორგანოების აქტიური ჩარევით. გლობალურ ეკონომიკასთან ერთად ყალიბდება მისი მართვის ინსტიტუციურ-სამართლებრივი კარკასი გლობალიზაციის აქტიური სუბიექტების – ტრანს-ნაციონალური კომპანიების, ტრანსნაციონალური ბანკების, საერთაშორისო ფინანსურ-ეკონომიკური ორგანოების და აშშ-ს მთავრობის აქტიური მონაწილეობით. ამ სისტემას ცნობილი ამერიკელი მეცნიერი ჯ. სტიგლიცი უწოდებს "გლობალურ მართვას გლობალური მთავრობის გარეშე" და შენიშნავს, რომ გლობალური ეკონომიკის მართვის ეს სუბიექტები "უმეტეს შემთხვევაში ფარულ გადაწყვეტილებებს იღებენ" [3, გვ. 412]. ეკონომიკის გლობალიზაციის ნეოლიბერალური მოდელის პრაქტიკული რეალიზაციის საბოლოო მიზანია გლობალური კაპიტალიზმი, რის შესახებაც აშკარად და პირდაპირ მიუთითებს ბევრი მეცნიერი, მათ შორის ამ პრობლემის აღიარებული ამერიკელი მკვლევარი თ. ფრიდმანი "...გლობალიზაცია ნიშნავს თავისუფალი ბაზრის კაპიტალიზმის გავრცელებას მსოფლიოს პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში" [3, გვ. 412]. მეცნიერთა უმეტესობა ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ ეკონომიკის გლობალიზაცია, უპირველეს ყოვლისა, ინდუსტრიულად განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების ინტერესების გამომხატველია [4] და ეს არც არის გასაკვირი, საკმარისია გავიხსენოთ ის ისტორიული ფაქტი, რომ ფრიტრედერობა, როგორც ეკონომიკის თანამედროვე გლობალიზაციის წინაპირობა, წარმოიშვა ინგლისში, რომელიც იმ დროს ყველაზე ძლიერი და განვითა-რებული სახელმწიფო იყო. ეკონომიკის გლობალიზაციის ნეოლიბერალური მოდელი დღეისათვის ერთად ერთი ზესახელმწიფოს – აშშ-ს ინტერესებს შეესაბამება. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ იგი ხშირად მოიხსენიება "ამერიკანი-ზაციისა" და "ვესტერნიზაციის" სახელწოდებით. ეკონომიკის გლობალიზაცია, რა თქმა უნდა, ობიექტური პროცესია, რომელიც ბევრ პროგრესულ ცვლილებას განაპირობებს თანამედროვე მსოფლიოში, თუმცა მას თან ახლავს მრავალი მწვავე პრობლემა და წინააღმდეგობა.

გლობალიზაციისაკენ სწრაფვა XX საუკუნის II ნახევრის მთავარი პოლიტიკური მიმართულება იყო, რომელშიც თავისებური წვლილი შეჰქონდა

საბჭოთა კავშირსაც. გლობალიზაციისკენ სწრაფვაში აღნიშნულ ქვეყნებს შორის განსხვავება იყო ის, რომ საბჭოთა კავშირი სოციალიზმის, კომუნიზმის იდეებს იყენებდა, "რაც შეიძლება დახასიათდეს როგორც სოციალისტური გლობალიზაცია ანუ გლობალიზაცია იდეოლოგიის მეშვეობით" [5, გვ. 25]. საბჭოთა კავშირის დაშლამ დაამტკიცა სოციალისტური გლობალიზაციის უპერსპექტივობა.

სოციალისტური სისტემის დაშლის შემდეგ სახე იცვალა მსოფლიოს პოლიტიკურმა რუკამ, რადიკალურად შეიცვალა ევროპა. 1991 წელიდან ევროპაში და მის უახლოეს ტერიტორიაზე ოცზე მეტი ახალი სახელმწიფო ჩამოყალიბდა. აღნიშნულ ქვეყნები ისწრაფვიან თავიანთი ადგილის მოსაპოვებლად მსოფლიო თანამეგობრობაში, რაც კარდინალურად ცვლის მსოფლიოს ადრინდელ გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ სტრუქტურეას. მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა ისწრაფვის პოლიტიკური დემოკრატიის, ადამიანის უფლებების დაცვის და სხვა ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების დანერგვისაკენ, ანუ შეიძლება ითქვას, მიმდინარეობს მსოფლიო პოლიტიკური სისტემის ერთიანი, საერთო საფუძვლების ჩამოყალიბების პროცესი.

ამავე დროს, ნათელია, რომ გლობალიზაციის პირობებში ქვეყნებს შორის ფინანსური რესურსების თავისუფალი გადაადგილება, რაც ეკონომიკური გლობალიზაციის უმთავრესი მახასიათებელია, ცალკეულ ქვეყნებში პოლიტიკური ხელი სუფლების შესუსტების რეალურ საფრთხეს წარმოშობს.

ტრანსნაციონალური კომპანიები მოქმედებენ რა გლობალური სტრატეგიის მეშვეობით, მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ მიმღები ქვეყნების პოლიტიკაზე, რომლებიც ხშირად იძულებულნი არიან ეროვნული ეკონომიკის გლობალურ ეკონომიკაში სრულყოფილი ინტეგრირების სტრატეგიული მიზნიდან გამომდინარე მოახდინონ ადაპტაცია ტნკ-ების მოთხოვნებთან. მიმღები ქვეყნების მხრიდან ტნკ-ების საქმიანობის კონტროლი მინიმუმამდე არის დაყვანილი, რაც განპირობებულია ტნკ-ების საქმიანობის მრავალფეროვნებით, მათი ინსტიტუციონალური სტრუქტურით და ა. შ.

ამდენად, ნათელია, რომ ტნკ-ების განმასხვავებელი თავისებურებაა მათი მხრიდან მიმღები სახელმწიფოს ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების პროცესზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა. ტნკ-ებს შეუძლიათ გარკვეულწილად შეცვალონ კურსი, რომლის საფუძველს თავის მხრივ ამ კომპანიების უდიდესი ფინანსური რესურსები წარმოადგენს, რომლის მეშვეობითაც მათ შეუძლიათ ძლიერი ლობის შექმნა მიმღები სახელმწიფოს ხელისუფლებაში, რაც არცთუ იშვიათია განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში.

გლობალიზაციის პოლიტიკური განზომილება საერთაშორისო ურთიერთობებში მიმდინარე ცვლილებებთან ერთად, რომლებიც გეოპოლიტიკური ცვლილებებითაა განპირობებული, ამავე დროს ხასიათდება მსოფლიო ეკონომიკის უმთავრეს მონაწილეებს შორის თანაფარდობის ტრანსფორმაციით, რაც ხშირად ეროვნული სახელმწიფოს როლის შემცირებასთან ასოცირდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Практика глобализации: игры и правила новой эпохи, Под. ред. М. Делягина, М., Инфра, М., 2000.
2. ბარათაშვილი ნ., გლობალიზაცია და ეროვნული ასპექტები, ჟ.: "ინტელექტი", [1]3, თბ., 2002.
3. Стиглиц Дж., Глобализация: тревожные тенденции, М., "Мысль", 2003.
4. Martin H. SShuman H. The Global Trap. Lond, 1997; Falk R., Predatory Globalization, Oxf. 1999; Mittelmfn J. H. The Globalization Syndrom. Transformation and Resistance. Priceton, 2000; Germain R. (ed), Globalization and its Critiques: Perspective from Political Economy. N. Y. 2000 და სხვ.
5. Линдсей В., Глобализация: повторение проиденного, М., 2006.

ECONOMIC AND POLITICAL DIMENSION OF GLOBALIZATION

LASHA VASHAKIDZE, Doctoral candidate of GTU

The article reviews two main features of globalization – political and economical. As states the article, first the economic and than political dimensions were formed. Opening national economic, increase of export-import and capital flow between countries created economic dimension of globalization – the countries become economically dependant on each other.

As for politic features of globalization it turned out as subsequent process of economic globalization. Policies of individual countries intentionally or unintentionally obeyed the economic globalization. The role of national countries particularly developing countries in regulation of its own countries has decreased. It was replaced with the will of developed countries, international organizations and transnational companies.